საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 8 23 0000976510

08/08/2023

შპს - კავკასიის უნივერსიტეტის "ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე

1. **გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები**

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის,„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ “უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3^1 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი

მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოდგენილ იქნა შპს კავკასიის უნივერსიტეტის 2023 წლის 10 აპრილის №399919 წერილი "ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე.

2.2. ცენტრის 2023 წლის 26 აპრილის №458843 ბრძანების საფუძველზე, შპს კავკასიის უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის 2023 წლის 15 მაისის №543027 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც დაწესებულებაში ვიზიტი "ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით განახორციელა 2023 წლის 23 მაისს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2023 წლის 25 ივლისს, სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება. კერძოდ, 1.4 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებას არ გამოუწვევია პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება.

3. სარეზოლუციონაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად 11 ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს იქნა შპს კავკასიის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი № 1-ით გათვალისწინებულ "ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2030 წლის 01 ივლისამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი № 2).

3. ცნობილ იქნას საბჭოს 2023 წლის 08 აგვისტოს სხდომის №974568 ოქმის №03 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი № 3).
4. დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

4.1რეკომენდებულია, რომ საგანმანთლებლო პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულ იქნას სასწავლო კურსები სამართლებრივი რეგულაციებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებზე;

4.2 პროგრამის მდგრადი განხორციელების მიზნით, რეკომენდებულია აფილირებული პერსონალის რაოდენობის გაზრდა.

რჩევები:

4.3 სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში (არჩევით ნაწილში) გათვალისწინებულ იქნას საქართველოს კულტურის ისტორიასთან ან საქართველოს ტურისტულ რესურსებთან დაკავშირებული სასწავლო კურსი;

4.4 სასურველია, რომ სასწავლო კურსების: „სათავგადასავლო ტურიზმის ოპერაციები და მენეჯმენტი“; „ტურისტული ადგილების გეოგრაფია“; „ტურიზმის მდგრადი განვითარება“; „დანიშნულების ადგილის მენეჯმენტის პრინციპები“; „ღონისძიებების ადმინისტრირება“ მიზანი შესაბამისობაში მოვიდეს უმაღლესი განათლების მაგისტრატურის საფეხურთან;

4.5 გასწორდეს პრაქტიკის სასწავლო კურსის მესამე და მეოთხე შედეგი;

4.6 სასურველია უფრო მეტ პრაქტიკოს ობიექტთან გაფორმდეს პრაქტიკის განხორციელების მიზნით მემორენდუმები;

4.7 სასურველია, რომ „სამაგისტრო ნაშრომის“ სილაბუსის მიზანი შესაბამისობაში მოვიდეს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან;

4.8 სასურველია მოგზაურობის, ტურიზმისა და დასვენების სფეროში კვლევებისა და პუბლიკაციების გაძლიერება;

4.9 სასურველია უფრო მეტ მკვლევარ კოლეგებთან ერთად, ორგანიზაციის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ, აქტიური მონაწილეობა კვლევით საქმიანობაში, მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნება;

4.10 სასწავლო პროგრამის განვითარების მიზნით, შეიძლება ისეთი სქემის შექმნა, რომელიც უფრო მეტ მაგისტრანტს მისცემს საშუალებას ჩაერთონ კვლევით საქმიანობაში, უნივერსიტეტის სასწავლო პერსონალთან ერთად, რაც შექმნის პირობებს კვლევის კომპეტენციის განვითარებისთვის, უნივერსიტეტის კვლევით საქმიანობაში ახალი ტალანტების მოზიდვისთვის;

4.11 სასურველია დაიგეგმოს და მოტივაცია მიეცეს პერსონალს, რომ აქტიურად იმუშაონ კვლევებზე მოგზაურობის, ტურიზმისა და დასვენების სფეროს მიმართულებით, რათა შეიქმნას შესაბამისი სამეცნიერო ნაშრომები და შესაძლებელი იყოს კვლევაზე დაფუძნებული საერთაშორისო თანამშრომლობის განხორციელება;

4.12 სამომავლოდ, პროგრამის განვითარების მიზნით, სასურველია ტურიზმისა და მასპინძლობის ლაბორატორიის შექმნაზე დაფიქრება, რაც შეიძლება სასარგებლო იყოს ტურიზმისა და მასპინძლობის სტარტაპების, ტურიზმის კვლევის, სექტორში ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობისთვის;

4.13 სასურველია, სასწავლო პროგრამის გამდიდრება ტურიზმისა და მასპინძლობის დაჯავშნის სისტემ(ებ)ის სასწავლო პროგრამული უზრუნველყოფით;

4.14. სასურველია გათვალისწინებულ იქნეს აკადემიური პერსონალის სამოტივაციო სისტემა, რომელიც გაზრდის სამეცნიერო პროდუქტიულობას მოგზაურობის, ტურიზმისა და დასვენების სფეროში.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2023 წლის 08 აგვისტოს.

6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს წევრი
სხდომის მდივანი
ქუთათელაძე ქეთევან



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

დანართი № 1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი Tourism and Hospitality Management
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	მასპინძლობის მენეჯმენტის მაგისტრი Master of Hospitality Management
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	1015 - მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	პაატა სააკაძის ქ. N1, თბილისი, 0102, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2023 წლის 08 აგვისტო
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	-
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	01/07/2030